

კახეთის კავკასიონის აალენ-ბაიოსური ბაზალტური ვულკანიზმი და მისი პროდუქტების სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქვის ნედლეულად გამოყენების პერსპექტივები

გიორგი დარჩიაშვილი

ელ-ფოსტა:G.darchiashvili@hotmail.com

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის ქ. 13

კახეთის კავკასიონის ზონის ფარგლებში გამოვლენილია ვულკანური აქტივობის სამი დონე:

- 1.ქვედა ლიასური(რიოლით-დაციტ-ანდეზიტური) დაფიქსირებული სტორის წყებაში.
- 2.გვიანპლინსბახ-ადრეტოარსული,ბაზალტური შედგენილობის - წიკლაურის წყებაში და
- 3.გვიანაალენ-ადრებაიოსური - შაქრიანის გამოსავალი,ალმატის წყებაში.

აღნიშნული ვულკანური აქტივობებიდან ჩვენ მიერ შესწავლილი იქნა შაქრიანის ქედის გამოსავალი, რომლის ტერიტორია თელავის მუნიციპალიტეტს მიეკუთვნება და ლოპოტა-ბოლიას შუამდინარეთის ქვედა წელში მდებარეობს. ამ ქედს, ჩრდილო-დასავლური მიმართულება აქვს და სამების ქედის გაგრძელებას წარმოადგენს, რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთ დაბოლოებაზე გრემის ტაძარია აღმართული.

ვულკანური კომპლექსის შემცავი დასტა კარტირდება ქედის თხემურ ნაწილში, უშუალოდ მთა შაქრიანის (944.2მ) მიდამოებში. მისი გამოსავლები ფიქსირდება, როგორც ქედის ჩრდილო, ისე ქედის სამხრეთ ფერდზე.

საველე დაკვირვებებითა და მიკროსკოპული შესწავლის მონაცემებით, შაქრიანის ვულკანიტები ბაზალტურ ვულკანურ კომპლექსს წარმოადგენს.

ჩვენ შაქრიანის ვულკანური ქანები შევისწავლეთ სამშენებლო-მოსაპირკეთებელი ქვების ნედლეულის ვარგისიანობაზე. მიღებული სტანდარტების მიხედვით კომპლექსი ზემკვრივი, ზემტკიცე, არაფოროვანი, არადარბილებადი, ყინვამედეგი და ცვეთამედეგი - პირველი კლასის ქანების ჯგუფს მიეკუთვნება.

შესაბამისად, მის ბაზაზე შეიძლება შეიქმნას ქვის მომპოვებელი და გადამამუშავებელი საწარმო - სამშენებლო-მოსაპირკეთებელი ქვის ფილების, ბიჟუტერიის, მემორიალური და სანახელო ნაწარმის დასამზადებლად.